შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაწყევლა ის, ვინც პარიკს აკეთებს და იკეთებს, ვინც ტატუს აკეთებს და იკეთებს

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ უმარისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: «შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაწყევლა ის, ვინც პარიკს აკეთებს და იკეთებს, ვინც ტატუს აკეთებს და იკეთებს».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაწყევლა და გააკეთა ვედრება ყოვლისშემძლე და დიადი ალლაჰის წყალობისგან გაგდებასა და მოშორებაზე, ოთხი კატეგორიის ადამიანებზე: პირველი: ვინც პარიკს აკეთებს საკუთარ თმაზე ან სხვის თმაზე, სხვისი თმით. მეორე: ვინც სთხოვს სხვას, რომ გაუკეთოს მას პარიკი სხვისი თმებით. მესამე: ვინც სხეულის ნებისმიერ ადგილზე ნემსების დასობით აკეთებს ტატუს, მაგალითად სახეზე, ხელზე, მკერდზე, სადაც შეჰყავს საღებავი ან სხვა რამ, რათა ლურჯად ან მწვანედ გამოიკვეთოს მისი კვალი; და ამ ყველაფერს სილამაზისთვის და მორთულობისთვის აკეთებს. მეოთხე: ის, ვინც სხვას აკეთებინებს მასზე ტატუს. ეს ქმედებები დიდი ცოდვებიდანაა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/58099